



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3685
17/07/2019

3685-09-2-201907171323



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N3 ნაგებობის (საფეხბურთო სტადიონი № ს/კ:27.08.47.385) გადაცემასთან დაკავშირებით, რათა მოაწყოს დაახლოებით 600000 (ექვსასი ათასი) ლარის ღირებულების ხელოვნურსაფარიანი სტადიონი. დაფინანსების მოპოვების მიზნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აწარმოებს მოლაპარაკებას ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციასთან და როგორც მომართავშია აღნიშნული, სწორედ მათი მოთხოვნაა, რომ დაფინანსების მისაღებად აუცილებელია სტადიონი იყოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სარგებლობაში. როგორც მოგეხსენებათ, სოფელ გვიმბალაურში ჩვენს მიერ დაგეგმილია ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის გახსნა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა აუცილებელია აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. ფეხბურთის

ფედერაციის თხოვნაა ხსენებული ტერიტორია გადაეცეს იჯარით 20 წლის ვადით და საიჯარო წლიურ ქირად განისაზღვროს 1 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ექნება დაახლოებით ექვსასი ათასი ლარის ღირებულების ხელოვნურსაფარიანი სტადიონი.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული საკითხის კომისიებსა და ფრაქციებში განხილვა და საკრებულოს 25 ივლისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანა.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1359
17/07/2019

1359-09-3-201907171208



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერს, ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკისა და ქონების
მართვის სამსახურის უფროსის
გიორგი ნაჭყებიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

ჩვენს სამსახურს თქვენი რეზოლუციით დაეწერა ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ გენერალური მდივნის, ბატონ დავით მუჯირის წერილი (კანცელარიის ნომერი 4553. 15.07.2019 წ) რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში მდებარე მუნიციპალური საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 27.08.47.385) N 3 ნაგებობის (სტადიონი) პირდაპირი განკარგვის წესით, 20 წლიანი იჯარის უფლებით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაცემა.


„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ნაჭყეაძე


პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაურში მდებარე N3 ნაგებობის - სტადიონი (ს/კ 27.08.47.385) ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 20 წლის ვადით გადაცემაზე.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვროს 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



496

11.07.2019 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე სარიშვილს,

ბატონო ალექსანდრე,

როგორც მოგვხსენებთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში: ფედერაცია) ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მოიცავს სხვადასხვა ქალაქში სპორტული მოედნების და ინფრასტრუქტურის მოწყობას. ჩამონათვალშია ლაგოდეხის სპორტული კომპლექსი, რუსთავის და რუხის ბავშვთა აკადემია, ვარკეთილის და ფოთის მშენებარე სპორტული კომპლექსი, და ეს მხოლოდ იმ პროექტების მცირედი ჩამონათვალია, რომელსაც ფედერაცია ახორციელებს სხვადასხვა რეგიონში ბავშვთა/ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის.

ფედერაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში უზრუნველყოფს ხელოვნურსაფარიანი მინდვრის მოწყობას (საკადასტრო კოდი: N 27.08.47.385). აღნიშნულ ტერიტორიაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი გეგმავს ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მოწყობას. ფეხბურთის ფედერაციას აღნიშნული პროექტის (ხელოვნურსაფარიანი მინდვრის მოწყობა) განსახორციელებლად ესაჭიროება ფულადი სახსრები, რისთვისაც დაწყებულია მოლაპარაკება ფეხბურთის ასოციაციასა საერთაშორისო ფედერაცია, (FIFA), რომელიც მზად არის დააფინანსოს სოფელ გვიმბალაურში საფეხბურთო მოედნის მოწყობა, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს დაახლოებით 600000.00 (ექვსასი ათასი) ლარს. თუმცა იმისათვის რომ მოვიპოვოთ დაფინანსება, აუცილებელია, რომ საფეხბურთო მოედანი იყოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მფლობელობაში. აქედან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, აღნიშნული საფეხბურთო მოედანი პირდაპირი განკარგვის წესით გადმოგვცეთ 20 წლიანი იჯარის უფლებით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გაიტანოთ აღნიშნული საკითხი განსახილველად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და დახმარებისთვის.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ გენერალური მდივანი

დავით მუჯირი

4553
25 07 19
11/ქთი